კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ელემენტები[1]

(შტაინმაიერის[2] სამშვიდობო გეგმა (2008))

2008 წლის 30 ივნისი

სამ-ფაზიანი მიდგომა:

პირველი ფაზა: ძალის არ გამოყენების გარანტია; უსაფრთხოების გარანტიები მათ შორის კოდორის ხეობისთვის; ზოგადი ხელშეკრულება დევნილების და ლტოლვილების დაბრუნების პრინციპებსა და გაგრძელებაზე; საერთაშორისო გარანტიების საკითხის მხედველობაში მიღება.

მეორე ფაზა: ნდობის აღდგენის პრაქტიკული პროექტები, რომელიც ინიცირებული იქნება ბერლინში საერთაშორისო დონორების კონფერენციაზე; დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნება; პოლიტიკური სტატუს ქვოს ფარგლებში თანამშრომლობა უსაფრთხოების, ვაჭრობის, მგზავრობის სფეროებში და ასევე გარკვეულ იურიდიულ, კულტურულ და სპორტულ საკითხებში.

მესამე ფაზა: აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შეთანხმებული გადაწყვეტა საერთაშორისო შუამავლობისა და ორმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოებში.

პირველი ფაზა: უსაფრთხოების გარანტიები – დევნილებისა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესისათვის ნიადაგის მომზადება – უპირობო დიალოგის დაწყება.

- ორივე მხარე თავს იკავებს ძალის გამოყენების, ძალის გამოყენებით დაშინებასა და ფეთქებადი რიტორიკისაგან. მხარეები გაცვლიან ისეთი ტიპის განცხადებებს როგორიცაა ბოლო დროს შემუშავებული „ქართული და აფხაზური მხარეების განცხადება უსაფრთხოების და შეიარაღებული დაპირისპირების განუახლებლობის შესახებ (2008 წლის მაისი),“ შესაძლებელია ამავე დოკუმენტის მიღებაც.

---

[1] კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სამშვიდობო ხელშეკრულებათა ბაზა GEO-PEACE DATABASE, ICCN. www.iccn.ge

[2] ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი (2005-2009);

- მხარეები – საჭიროების შემთხვევაში არსებული ორგანოების გამოყენებით – რაც შეიძლება მალე შეიმუშავებენ პირდაპირი, მაღალი დონის დიალოგის ფორმებს, მაგალითად, მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომიტეტის მეშვეობით. გაეროს დამკვირებელთა მისიამ და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფმა სასურველია მიიღოს მონაწილეობა ფასილიტატორებად. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც შეიძლება ჩაერიონ ამ პროცესში თუ მხარეები ამაზე დათანხმდებიან.

- გაეროს დამკვირებელთა მისია და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი მზად არიან კონსულტაციები გაიარონ მხარეებთან რათა შეიმუშაონ შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიები, მაგალითად კოდორის ხეობისთვის. მხარეები მოიწვევენ სამუშაო ჯგუფებს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რათა იმუშაონ საჭირო დეტალებზე.

- ორივე მხარე გაითვალისწინებს უსაფრთხოების და შეიარაღებული დაპირისპირების განუახლებლობის გარანტიების მნიშვნელობასა და შედეგებს, მათ შორის, შესაძლო საერთაშორისო პოლიციის განლაგებას. უსაფრთხოების გაუარესების შემთხვევაში არსებული მექანიზმები ამოქმედდება რათა აცილებელ იქნეს სამხედრო დაპირისპირება.

- დევნილებისა და ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნების უფლების ცნობისა და სხვა უფლებების დაცვის ვალდებულების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდებიან მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და შეთანხმებების საფუძველზე. დეტალები შეთანხმდება მხარეების დევნილებისა და ლტოლვილების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ, საორგანიზაციო კომიტეტის ეგიდით.

- პირველი ფაზის ფარგლებში მხარეები მიიღებენ ზომებს ნდობის აღსადგენად და ასევე ჰუმანიტარული საკითხების მოსაგვარებლად, მათ შორის 2007 წელს მეგობართა ჰგუფის მიერ შეთავაზებულ საკითხებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ემბარგოს მოხსნა სამოქალაქო ვაჭრობაზე და აფხაზეთისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება, რათა აწარმოონ ვაჭრობა როგორც ქართველ ისე საერთაშორისო პარტნიორებთან.

საწყისი ფაზის მიზნები მიღწეული უნდა იყოს ამ დოკუმენტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 15 თვის შემდეგ.

მეორე ფაზა: ნდობის აღდგენა: საზოგადოების ცხოვრების ნორმალიზება ვაჭრობის, მეზობლური ურთიერთობები, კულტურული გაცვლებისა და მშვიდობიანი კამათის მეშვეობით.

- მიღწეული პროგრამის საფუძველზე, რაც შეიძლება სწრაფად ჩატარდება საერთაშორისო კომფერენცია ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და დაინტერესებული ორმხრივი დონორების, როგორიცაა რუსეთი და აშშ, მონაწილეობით. კონფერენცია განსაზღვრავს ნდობის აღდგენის, ეკონომიურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთის და კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქციისკენ. დონორებმა მხარი უნდა დაუჭირონ ასეთ პროექტებს. გერმანია კი მზადაა უმასპინძლოს ამ კონფერენციას.

- დევნილები და ლტოლვილები აგრძელებენ დაბრუნებას და საჭიროა მათი რეინტეგრაცია. დაბრუნების პროცესში ყველა თემის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი იურიდიული დებულებებით. დეტალები განხილული იქნება დევნილებისა და ლტოლვილების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ საორგანიზაციო კომიტეტის ფარგლებში.

- ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გადაადგილების თავისუფლებისათვის შეიქმნება პირობები.

- აფხაზეთის და კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის რეგიონული თანამშრომლობა, განხორციელებული იქნება რეაბილიტაციის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ საერთაშორისო დონორთა მონაწილეობით.

- მხარეები უბიძგებენ სხვადასხვა საზოგადოებებს და თემებს, რომ იმუშაონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა შექმნან შესაფერისი საცხოვრებელი პირობები, რომლებიც დაკავშირებულია სწავლა-განათლებასთან და კომუნალურ მიკრო-პროექტების განხორციელებასთან. მათ დახმარება უნდა გაეწიოთ კულტურულ და სპორტულ აქტივობებში.

ფაზა მესამე: აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შეთანხმებული გადაწყვეტა.

- მესამე ფაზა იწყება მხარეთა მიერ, გაეროს/მეგობართა ჯგუფის დახმარებით, პირველ და მეორე ფაზაზე მიღწეული პროგრესის საერთო შეფასებების საფუძველზე.

- შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსს. ეს ჯგუფი შედგება მხარეებისაგან, რომელსაც დახმარებას უწევენ საერთაშორისო ფასილიტატორები და გარანტორები.

- თხოვნა გაეგზავნება გაეროს უშიშროების საბჭოს რომ მიიღოს და დაამტკიცოს პოლიტიკური სტატუსი და უმეთვალყურეოს მის განხორციელებას.

- მომდევნო საერთაშორისო კონფერენცია გადაწყვიტავს აფხაზეთის რეკონსტრუქციისათვის დამატებით დახმარებას. ამ კონტექსტში, ევროკავშირმა შეიძლება რაიმე სახის დახმარება გაუწიოს შეთანხმების განხორციელებას.

2008 წლის 30 ივნისი.